MKURNALI.GE
სამედიცინო ინტერნეტჟურნალი

დიაბეტი იდუმალი და ამოუცნობი დაავადება

ადამიანი გამუდმებით მოძრაობს და ამის საშუალებას მას ენერგია აძლევს. ადამიანისთვის მისი წყარო საკვებია. საკვების მეშვეობით მიღებული ნივთიერებებიდან ძირითად საწვავს ორგანიზმისთვის გლუკოზა წარმოადგენს, რომელსაც ნახშირწყლები შეიცავს.

შაქრის ფხვნილს, რომელსაც ასე აქტიურად იყენებს ადამიანი, შაქრის ლერწმისგან ან შაქრის ჭარხლისგან იღებენ. მეცნიერები განასხვავებენ რთულსა და მარტივ შაქრებს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება უჯრედისი და სახამებელი, მეორეს — გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა და სხვა. გლუკოზა ნივთიერებათა ცვლის ყველაზე აქტიური კომპონენტია და მრავალ ქიმიურ გარდაქმნაში მონაწილეობს. ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი სისხლში მუდმივად მისი საჭირო დონის შენარჩუნება. გლუკოზის დონე ზოგჯერ ნორმის ზღვარს სცდება. შედეგად თავს იჩენს შაქრიანი დიაბეტი.

მითები შაქრიანი დიაბეტის შესახებ

მითი პირველი: შაქრიანი დიაბეტით მოავადენი სწრაფად იმატებენ წონას. პირიქით — სწორედ ჭარბი წონა წარმოადგენს დაავადების ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს, რადგან ცხიმის გავლენით ძლიერდება იმ ჰორმონთა სინთეზი, რომლებიც დიაბეტი ტიპი I-ის განვითარებას იწვევს.

მითი მეორე: შაქრიანი დიაბეტი ტკბილეულის მოყვარულებს ემართებათ. შაქრით მდიდარი პროდუქტების ჭარბი მიღებისას ადამიანი წონას იმატებს და სწორედ ეს განაპირობებს შაქრიანი დიაბეტის განვითარებას, წონის მატება კი მოსალოდნელია როგორც ნახშირწყლებით, ისე ცხიმებით მდიდარი საკვების ჭარბი მიღებისას.

მითი მესამე: დიაბეტით მოავადე უნარშეზღუდულია. დღეს დიაბეტი აღარ მიიჩნევა მომაკვდინებელ დაავადებად. საშიშია არა თავად დიაბეტი, არამედ მისი გართულებები. დღეს არსებობს ბევრი ეფექტური მედიკამენტი, რომლებიც დაავადებულს გართულებებისგან იცავს. მსოფლიოში დიაბეტის მრავალი სკოლაა, სადაც პაციენტები სწავლობენ დაავადებასთან ერთად ცხოვრებას, ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შაქრიანი დიაბეტით მოავადე საზოგადოების სრულფასოვანი წევრია!

მითი მეოთხე: დიაბეტის დროს იკრძალება ტკბილეული, ბურღულეული და მრავალი სახეობის ხილი. ეს შეხედულებაც კარგა ხანია მოძველდა. ნახშირწყლები სჭირდება ყველას, მათ შორის — დიაბეტით დაავადებულსაც. ოღონდ აუცილებელია რაციონის სწორად შედგენა. თუ რაციონში რამის შემცირებაზეა საუბარი, ყველაფერს სჯობია, ცხიმები შემცირდეს. ნახშირწყლები კი ადამიანმა დღეში რამდენჯერმე უნდა მიიღოს. ჯანმრთელი ორგანიზმი თავად გარდაქმნის ნახშირწყლებს უნივერსალურ ენერგიად, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულს კი ამაში მედიკამენტები ეხმარება.

მითი მეხუთე: შაქრიანი დიაბეტის დროს აუცილებელია შაქრის შემცვლელების გამოყენება. ეს ყოველთვის არ არის საჭირო, მათი მიღების აუცილებლობას ადგენს მკურნალი ენდოკრინოლოგი, რომლის რეკომენდაციათა გარეშე შაქრის შემცვლელების მიღება შესაძლოა ჯანმრთელობისთვის საზიანოც კი აღმოჩნდეს.

მითი მეექვსე: თუ ინსულინდამოკიდებული ხარ, ესე იგი, შენი საქმე ცუდად არის! ამასაც ვითარებაში არასათანადოდ გარკვეული ადამიანები ამბობენ. ინსულინი მაშველი რგოლია მაშინ, როდესაც აბები შაქრის დონის რეგულირებას ვერ ახერხებენ. ინსულინთერაპიის დაწყების შემდეგ პაციენტი თითქოს ხელახლა იბადება. ბევრი ცნობილი ადამიანია ინსულინდამოკიდებული, მაგრამ ეს მათ წარმატებაში ხელს არ უშლის. მთავარია დაავადებისადმი გონივრული დამოკიდებულება და მდგომარეობის მუდმივი კონტროლი.

ენდოქირურგიის საერთაშორისო ცენტრი
სიახლე თიაქრის მკურნალობაში

საყლაპავის და მუცლის თიაქრების მკურნალობა
ლაპარასკოპული მეთოდით
საავადმყოფოში დაყოვნების დრო 1-3 დღე
კონსულტაცია უფასოა
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
☎599 56-13-71; 218-08-51 მის: წინანდლის 9

მკურნალობა – ხერხემლის თიაქარის, ოპერაციის გარეშე, ძვალსახსროვანი დაავადებების და ოსტეოქონდროზის, მარილების დაგროვების, პოდაგრის, ართროზების, სპორტული ტრავმების, კიფოზის, ნერვის ანთების, რადიკულიტის.
☎599-22-11-66
ნუგზარ თაზუნიძე

ლიმფური კვანძები — ინფექციების „ბარიერი“

მართალია, გადიდებული ლიმფური კვანძები ყოველთვის არ მიანიშნებს საშიშ დაავადებაზე, მაგრამ მაინც არ ღირს მისი უყურადღებოდ დატოვება.

ლიმფური კვანძები თავისებური ბლოკპოსტებია, რომლებიც განლაგებულია სხეულის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე. ისინი აკავებენ ბაქტერიებს, ვირუსებსა და სხვა უცხო აგენტებს, ხოლო ლიმფოციტები, (რომლებიც გამომუშავდება ლიმფურ კვანძებში) სპობენ მათ. ეს ბრძოლა მიმდინარეობს მუდმივად, ისე, რომ ვერ ვამჩნევთ.

ლიმფური კვანძების გადიდება, ანუ ლიმფადენოპათია შეიძლება იყოს ლოკალური (ერთი ჯგუფის ლიმფური კვანძების ანთება) ან გენერალიზებული (ყველა ლიმფური კვანძის ან მათი უმეტესობის ანთება), რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ინფექციურმა დაავადებებმა, მაგალითად, წითელამ, წითურამ, ტიფმა, ბრუცელოზმა, რომლის სიმპტომებია არა მარტო გადიდებული ლიმფური კვანძები, არამედ მათი ტკივილი.

ცნობისთვის: ზოგჯერ გადიდებული ლიმფური კვანძების დროს არ შეიმჩნევა ეს უსიამოვნებები, მაგრამ, შესაძლოა ის მაინც იყოს სერიოზული დაავადების ნიშანი.

ლიმფური კვანძების გადიდების მიზეზი შეიძლება გახდეს ე.წ. კატის ნაკაწრი (ფელინოზი). მას იწვევს მიკრობი ბარტონელა, რომელიც ბინადრობს კატისა და მღრღნელების პირის ღრუსა და ბრჭყალებზე, მათი კბენის ან გაკაწვრისას დაზიანებული კანის მეშვეობით აღწევს სისხლში. კანზე ჯერ ჩნდება წითელი ფერის მტკივნეული ლაქა, რომელიც 2-3 დღის შემდეგ გადაიქცევა სითხით სავსე ბუშტად, რამდენიმე დღის შემდეგ კი დიდდება ნაკაწრთან, ნაკბენთან ახლოს მდებარე ლიმფური კვანძი. ხშირად ორგანიზმი თავად უმკლავდება ამ ინფექციას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ანტიბიოტიკი, რომელსაც ექიმი დანიშნავს.

უმეტესად ლიმფური კვანძების გადიდების მიზეზია ინფექცია (სოკოსი, ბაქტერიული ან ვირუსული). გადიდებული ლიმფური კვანძების ლოკალიზაციის მიხედვით ექიმი ადგენს, თუ სად მდებარეობს ანთების კერა. მაგალითად, ყბის ქვეშ ლიმფური კვანძები სივდება ლორორგანოების ინფექციების, კბილის კარიესის დროს, საზარდულისა — შარდსასქესო სისტემის დაავადების დროს, ხოლო იღლიაში — ხელზე დაინფიცირებული ჭრილობის ან სარძევე ჯირკვლების დაავადებისას.

გახსოვდეთ! იღლიაში გადიდებული ლიმფური კვანძების დროს აუცილებლად მიმართეთ მამოლოგს.

ლიმფადენოპათია შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. აუტოიმუნურმა დაავადებებმა. ამ დროს დაქვეითებული იმუნური სისტემა ველარ ცნობს თავისი ორგანიზმის უჯრედებს და ებრძვის მათ როგორც მტერს. ეს კი იწვევს რევმატოიდულ ართრიტს, სისტემურ წითელ მჭამელს, ალერგიის ზოგიერთ ფორმას და სხვა დაავადებებს. თუმცა, ეს დაავადებები არცთუ ხშირად გვხვდება.

„კამელინის“ ფარმაკოლოგიური მოქმედება და გამოყენების ჩვენებები

„კამელინი“ ქართული წარმოების ორიგინალური, განსაკუთრებული სახეობის თაფლისაგან დამზადებული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებაა. შეიცავს ფუტკრის ცხოველქმედების ბიოლოგიურად მაღალაქტიურ ნივთიერებებს: კეტონებს, ეთერებს, ბიოორგანულ მჟავებს, ფენოლებს, ალდეჰიდებს, ფურფუროლს. კამელინი გამოიყენება როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელი ნაწილი, ასევე დამოუკიდებლად. 100%-ით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, მაღალეფექტური, არატოქსიკური, არ იწვევს ალერგიას, გამოირჩევა ორგანიზმში შეყვანის გზების მრავალფეროვნებით: „კამელინი-მ1“ ინიექცია, „კამელინი-მ2“ კაფსულები, „კამელინი-მ3 მალამო, კამელინი-მ4“ სუპოზიტორია, „კამელინფლუ-სპრეი“.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სამედიცინო დეპარტამენტის სრული პროფესორი **ციცინო გაგნიძე:**

— „კამელინი“ იმუნომოდულატორული აქტივობის გამაძლიერებელი საშუალება, ანტიოქსიდანტია. არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას და იცავს ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებისგან. „კამელინი“ შეიძლება გამოყენებულ იქნას კომპლექსურ თერაპიაში სხვადასხვა პათოლოგიების დროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ პათოგენეზში ადგილი აქვს იმუნოპათოლოგიურ ფაქტორებს. შესწავლილ იქნა პრეპარატ „კამელინის“ ანტიოქსიდანტური აქტივობაც, ექსპერიმენტებში გამოყენებული იქნა „კამელინის“ ხუთივე ფორმის პრეპარატი, მაგრამ აქცენტი „კამელინ მ2“-ზე, კაფსულებზე გამახვილდა. კვლევებიდან გამომდინარე მიღებულ იქნა დასკვნა, რომ ზრდასრულ ადამიანებში (ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მოთხოვნის საშუალო სადღეღამისო ნორმა 360 მგ-ს შეადგენს) „კამელინი მ2“-ის 3 კაფსულა სრულიად უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ მოთხოვნებს. „კამელინ მ1“ ეფექტურია, როგორც იმუნომოდულატორი, ანტიოქსიდანტი, ანტიბაქტერიული, რეგენერაციული, ანტივირუსული საშუალება. ახდენს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს, შემაკავებლად მოქმედებს სიმსივნურ ზრდაზე. „კამელინ მ2“-ს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, აქტიურად მონაწილეობს ქსოვილების შეხორცებაში, ხელს უწყობს კოლაგენის ჩალაგებას დაზიანების ადგილას. გამოიყენება ვირუსული, ბაქტერიული, სოკოვანი ინფექციების, სიმსივნური დაავადებების, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული დაავადებების, პოლინეიროპათიების, პოსტოპერაციული და ტრავმების დროს. „კამელინ მ3“-ს გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, აჩქარებს შეხორცების პროცესს. „კამელინ მ4“ ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, იმუნომოდულაციისა და რეპარაციული პროცესების გამაძლიერებელი ეფექტის მქონე პრეპარატია, აჩქარებს რეგენერაციას, აძლიერებს ადგილობრივი იმუნური ბარიერის ფუნქციონირებას. საქართველოსა და საზღვარგარეთ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა პრეპარატის ჩვენების მრავალმხრივობა. იგი გამოიყენება სტომატოლოგიაში, რევმატოლოგიაში, ქირურგიაში, უროლოგიაში, გინეკოლოგიაში, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიების დროს.

„კამელინი“ ფართოდ გამოიყენება ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი ინფექციების, ასევე ვაგინალური, საშვილოსნოს ყელის ანთებითი დაავადებების, საშვილოსნოს ყელის ეროზიების, ფიბრომატოზულ კისტოზური მასტოპათიების, სახსრების დისტროფიულ დეგენერაციული დაავადებების შემთხვევაში.

გამოყენების ჩვენებები:

- ✔ კანის, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი და ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობები, ტროპიკული წყლულები, ფურუნკული, პანარიციუმი, დამწვრობები, ნაწოლები;
- ✔ კანის დაავადებები;
- ✔ ოპერაციის შემდგომი პერიოდი;
- ✔ ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი ინფექციები;
- ✔ ტრავმები და დაჟეჟილობები;
- ✔ სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული დაავადებები, ართრიტები, ართროზები;
- ✔ სიმსივნური დაავადებები;
- ✔ პოლინეიროპათიები;
- ✔ ვაგინალური ინფექციები;
- ✔ პროსტატიტები, პროქტიტები, სწორი ნაწლავის ნახეთქები, ბუასილი;
- ✔ სტომატოლოგიური დაავადებები;
- ✔ პირის ღრუს და ყელის ინფექციები: ფარინგიტი, ლარინგიტი (კატარალური ანგინა) სტომატიტი, წყლულოვანი გინგივიტი, როგორც დამხმარე საშუალება ქრონიკული ტონზილიტის დროს.

მოამზადა
მაია ცომაიამ R

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33.